სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქცია

(MBA; MBA OM; MF)

სადიპლომო პროექტი არის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსი/საგანი.

სადიპლომო პროექტის სწავლის მიზანია მაგისტრანტმა/კურსდამთავრებულმა შეძლოს პროგრამაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრობლემის არსში გარკვევა, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენება.
აღნიშნული საგნის ფარგლებში მაგისტრანტი მუშაობს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით.

ამ სასწავლო კურსში დადებითი შეფასების მიღების გარეშე მაგისტრანტს არ ეთვლება პროგრამა დასრულებულად.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შედგება ოთხი კომპონენტისგან

- **წერილობითი სადიპლო ნაშრომის შინაარსი** - 36 ქულა
- **წერილობითი ნაშრომის ფორმატირება და მართლწერა** - 9 ქულა
- **სტუდენტის მუშაობა** – 15 ქულა
- **Viva Voce (პროექტის ზეპირი წარდგენა)** – 40 ქულა

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს საბოლოო შეფასების **41%-ს**.

მაგისტრანტი პროექტის ზეპირ პრეზენტაციაზე დაიშვება რეცეზენტისა და ხელმძღვანელისგან მიღებული დასტურის შემთხვევაში.

რეცენზია მაგისტრანტს ეგზავნება დაცვამდე 4 დღით ადრე.

თუ მაგისტრანტს დარეგისტრირებული აქვს თემა და ხელმძღვანელი და ვერ წარმოადგინა საბოლოო ნაშრომი 14 დღით ადრე, სადიპლომო პროექტში განისაზღვრება შეფასება „F"-ი.

FX შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტი უფლებამოსილია <u>მინიმუმ ერთ თვეში</u> წარადგინოს გადამუშავებული ნაშრომი.

სამაგისტრო ნაშრომის/სადიპლომო პროექტის სასწავლო კურსის შეფასების სკალა შემდეგნაირია:

შეფასება	აღწერა	პროცენტული ინტერვალი	რიცხვითი ექვივალენტი 4.0 ბალიან შკალაში
A	ფრიადი	91 – 100	3.39 – 4.0
B	ძალიან კარგი	81 – 90	2.78 – 3.38
C	საშუალო	71 – 80	2.17 – 2.77
D	დამაკმაყოფილებელი	61 – 70	1.56 – 2.16
E	საკმარისი	51 – 60	1.0 – 1.55
FX	ვერ ჩააბარა (ხელახლა ჩაბარების უფლება)	41 – 50	0
F	ჩაიჭრა (საგანი ახლიდან შესასწავლი	0 – 40	0

სამაგისტრო ნაშრომზე/სადიპლომო პროექტზე მუშაობის პროცესს მაგისტრანტი იწყებს მე - 4 მოდულში.

სამუშაო პროცესი დაყოფილია ეტაპებად და მაგისტრანტი ვალდებულია მოდულის მანძილზე შეასრულოს რამდენიმე კომპონენტი:

1. **თემის და ხელმძღვანელის დარეგისტრირება** - გულისხმობს ნაშრომის თემის შერჩევას ხელმძღვანელთან კონსულტაციით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი") ლექტორი.
2. **საბოლოო ნაშრომის წერილობითი ვერსიის ჩაბარება** - მაგისტრანტი წინასწარ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენს საბოლოო ნაშრომს, რომელსაც აფასებს ხელმძღვანელი და რეცენზენტი.
3. **სამაგისტრო ნაშრომის დაცვა** - ხელმძღვანელის და რეცენზენტის შეფასების მიღების შემდეგ მაგისტრანტი კომისიის წინაშე აკეთებს ნაშრომის პრეზენტაციას წინასწარ განსაზღვრულ თარიღში.

თემის და ხელმძღვანელის დასარეგისტრირებლად მაგისტრანტი საუნივერსიტეტო ელ. ფოსტით მიმართავს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს და მიმოწერაში ამატებს ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო ელ. ფოსტას.

საბოლოო ნაშრომის ჩაბარებამდე მაგისტრანტს აქვს უფლება პროექტის დასახელებაში შეიტანოს ცვლილება.

საბოლოო ნაშრომის წერილობითი ვერსიის ჩაბარება: მაგისტრანტი საკუთარი საუნივერსიტეტო ელ. ფოსტიდან პროექტს (**PDF და Docx, Excel** ფორმატში) აგზავნის პროგრამის კოორდინატთან შესაბამის ვადებში. გაგზავნისას მიმოწერაში უნდა დაამატოს ნაშრომის ხელმძღვანელის საუნივერსიტეტო ელ. ფოსტაც.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვადები (2022-2023 აკადემიური სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი):

სადიპლომო პროექტი	**თემის და ხელძღვანელის დარეგისტრირება**	**საბოლოო პროექტის ჩაბარება**	**სამაგისტრო ნაშრომის დაცვა**
2022-2023 გაზაფხული	არაუგვიანეს 31 მაისი 2023	14 დღით ადრე	არაუგვიანეს 31 ოქტომბერი 2023

ნაშრომის თითოეული კომპონენტისთვის განსაზღვრული ვადა სავალდებულოა შესასრულებლად.

თუ მაგისტრანტმა მე-4 მოდულში არ შეასრულა ინსტრუქციით განსაზღვრული რომელიმე სავალდებულო კომპონენტი, უქმდება რეგისტრაცია სასწავლო კურსზე და სამაგისტრო ნაშრომი გადადის დამატებით სემესტრში.

თუ მაგისტრანტს დარეგისტრირებული აქვს თემა და ხელმძღვანელი, თუმცა ვერ შეძლო წერილობითი ნაშრომზე მუშაობა ვალდებულია <u>წერილობი სახით შეატყობინოს</u> კოორდინატორი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ასეთ შემთხვევაში იგი კარგავს ნაშრომის ჩაბარებისა და დაცვის უფლებას მიმდინარე წლის ვადაში).

თუ მაგისტრანტს დარეგისტრირებული აქვს თემა და ხელმძღვანელი, **არ შეატყობინა კოორდინატორი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ და არ წარმოადგინა საბოლოო ნაშრომი 14 დღით ადრე, სადიპლომო პროექტში განისაზღვრება შეფასება „F"-ი.**

სამაგისტრო ნაშრომის დამატებით მოდულში გადატანის უფლება.

- მაგისტრანტი უფლებამოსილია გაიტანოს სამაგისტრო ნაშრომის სასწავლო კურსი **4 სავალდებულო მოდულის** გარეთ, არ დაარეგისტრიროს სამაგისტრო თემა და ხელმძღვანელი 2022-2023 წლის გაზაფხულის სემესტრში და ნაშრომზე მუშაობა დაიწყოს 2023-2024 აკადემიური სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. <u>**ამ შემთხვევაში, მაგისტრანტს არ წარმოეშობა დამატებითი კრედიტების საფასური.**</u> შეტყობინება უნდა მოხდეს წერილობითი სახით.

სამაგისტრო პროგრამის დებულების მე-8 მუხლის, 8.2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, თუ მაგისტრანტი სწავლის დაწყებიდან 6 (ექვსი) სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს და არ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

თუ მაგისტრანტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, იგი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მიზნით სემესტრის დაწყებამდე მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას სტატუსის აღდგენის შესახებ განსაზღვრული ვადების დაცვით.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ვადები დამატებითი სემესტრის ფარგლებში:

სადიპლომო პროექტი	**თემის და ხელძღვანელის დარეგისტრირება**	**საბოლოო ნაშრომის წერილობითი ვერსიის ჩაბარება**	**სამაგისტრო ნაშრომის დაცვა**
2023-2024 გაზაფხული	არაუგვიანეს 31 მაისი 2024	14 დღით ადრე	არაუგვიანეს 31 ოქტომბერი 2024

დამატებითი ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის/სადიპლომო პროექტის სასწავლო კურსის შესახებ იხილეთ საგნის სილაბუსში.

შენიშვნა: სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღი შესაძლოა შეიცვალოს (დაემატოს რამდენიმე დღე) რეგისტრირებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.